# სასოფლო გაზეთი


**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
| --- | --- |
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:
*Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 3 შაბათი ყ 15 თებერვალს, 1872 წ.


### შინაარსი:

სამეცნიერო სწავლა: დედა-მიწა.—რა სარგებლობა მოაქვს ორთქლის იარაღებით მინდვრების შემუშავებას?—დიდხანს რა ვნება, შეუძლიან ჭექა-ქუხილს და რა საშუალებით უნდა უშველოთ მეხ-დაცემულს?—დიდხანს შეიძლება უჭმელად სიცოცხლე?—უწყლოდ რამდენ ხანს შეიძლება გაძლება?—რამდენს ხანს შეუძლიან კაცს ცხოვრება?—რამდენი ხანი უნდება კუჭი სხვა-და-სხვა საჭმელების მონელებას?—რამდენ ხანს ცხოვრობენ ცხოველები?—განცხადება; სასოფლო გაზეთის გამოცემაზე.—

(სამეცნიერო სწავლა).

## დედა-მიწა.

(გაგრძელება)

იმასთანა მძიმე შთაბეჭდილებებს არა ახდენს რა, როგორც წვიმიან დროს იქ ყოფნა. ღმერთმა ჩემი მტერიც ნუ დაასწროს ამისთანა დროს ბრაზილიაში. გვერდებში გაუჯდება სინოტივე; ტყეს ეცმება ბურუსი, ღრუბლებსავით დგას ქუნქლების გროვა, ყველა ცხოველები ეძებენ თავისშესაფარს, მხოლოთ ბაყაყები თავიანთი ყიყინით ტყის სიჩუმეს არღვევენ. ქარი-შხლის წინად შორს მოისმის საშინელი გრიალი, მერე ნელ-ნელა დაეშვება ძირს ტყისაკენ და უცფად გაიელვებს, გაიჭექებს და ამოვარდება საზარელი ქარიშხალი. ეს ქარი ძირიანად გლეჯავს უზარ-მაზარ ხეებსა. ამ ქარისგან დამტვრეული ხეების ხრიალს, დაცემის დროს, ემატება შეშინებული მხეცების ღრიალი. ჩავარდება ქარიშხალი და ტყე თავისებურათ შეიმოსება მშვენიერი მდიდრული სამოსლით; ცხოველები უწინდებულათ დაიწყებენ სიარულს. ისმის სხვა და სხვა გვარი ფრინველების ჭიკჭიკი. ლამაზი ფრინველები გამოჯდებიან მზის გულზე და შლიან მორთულ, აჭრელებულ ათას ფერათ ფრთებს. შუადღის დროს დაცხება, ცხოველები მოსძებიან გრილო ადგილებს, ჩდილებს და მიეცემიან დიდ-კაცუარათ განსვენებას, გარდა კროკოდილისა და დიდი გველებისა, რომლებსაც ახირებულად უყვართ მზის გულზე გაწოლა და გათბობა. სხვა დანარჩენ ტყის მცხოვრებლებს და განსაკუთრებით ფრინველებს სძინავთ სალამომდისინ.

ცხელ ადგილებში ცხოველები და მცენარეები ისეთი უზარ-მაზარი და დიდები იზდებიან, რომ ზომიერ და განსაკუთრებით ცივ ადგილებში იშვიათათ იპოვებიან. ამისთანა დიდ ცხოველებს, როგორც, მაგ. სპილო, მარტორქა, სირ-აქლემა, დიდი გველები, ვერ ნახავთ ვერც ევროპაში, ვერც ჩრდილოეთ აზიაში, ანუ ჩრდილოეთ ამერიკაში. გარდა სიდიდისა, ცხელი ქვეყნების ცხოველების ტყავი, მშვენივრათ არის მორთული, აჭრელებული სხვა და სხვა ნაირ ფერებით უხვი ბუნებისაგან.

გაუვალ ამერიკის ტყეებში, აფრიკის უდაბნურ ალაგებში და ზოგ აზიის მთებში ცხოველებთ შორის არისმუდამ გაცხარებული და თავის შეუწყნარებელი ბრძოლა არსებობისთვის. მომეტებული ნაწილი ცხელი ქვეყნების ცხოველებისა მტაცებლები არიან. ამისგამო ამ მშვენიერ ცხელ ქვეყნის ალაგებში მოგზაურს დიდი გაფთხილება მართებს. აფრიკის უდაბნო ალაგებში უნდა მგზავრი მოელოდეს სიკვდილს წყლის წყურვილით, ანუ ქარიშხალით, რომელიც ქვიშას აბორიალებს და იმითი თვალებს დასთხრის მოგზაურს,—გარდა ამისა ამ უდაბნოში მტაცებელი მხეცებიც არიან და რასაკვირველია ამათი დაცემისაც უნდა შიში ჰქონდეს. კაცს ეგონება, რომ ამ უდაბურ ალაგას რა დააყენებს მჭამელს და კაცის დაუნდობელ ცხოველებსო, მაგრამ ამას ნუ იფიქრებს; უნდა ყოველთვის ეშინოდეს მგელ-კაცების და ლომების დაცემისა. ახირებული დიდი უდაბნოები არის აფრიკაში; მგზავრის თვალს წამოუდგება მხოლოდ ქვიშის გროვები თვალ გაუწვდენელი ზღვასავით; ვერ ნახავს ვერც ბალახს, ვერც წყალს; მხოლოდ აქა-იქ შეხვდება პატარა წყაროს ნაირ წყლებს; აქ არის მცენარეები და პატარა ხანს შეწუხებულ სიცხისაგან გულს გაიგრილებს. სიცხისაგან ისე გახურებულია აქ ყველაფერი, რომ რასაც მიეკარები დაგწვავს; ტანისამოსი იწვის სიცხისაგან; პირის სახეზე ტყავი სძვრება; საგძალი სულ ერთიანათ ხდება, წყალს ადუღებს, ჰაერი გაცხელებულია, თითქო თონიდგან ალი ამოდისო, რომელსაც ახლო ვერ ვინ მიეკარება, რომელიც სწვავს და სთუთქავს ყველაფერს, ისე კიდევ იქაური ჰაერია;


კ. მარქსის სახ. ... სსრ
სახელ. ... ... ...
ბიბლიოთეკა

ვერაფრით ვერ გაიგრილებ გულს; ჰაერში სიცხის ლული დგას. საცოდავ მოგზაურს ეჩვენება შორს წყალივით რაღაც სურათი, ეჩვენება ხეები, რასაკვირველია, იმედი მიეცემა; მოუმატებს სიარულს; რაც ჯანი და ღონე აქვს ისე მიდის, მაგრამ საწყალი სტყუვდება; არც ხეებია, არც წყალი; ხედავს ისევ იმავე ქვიშას, ისევ იმავე სიცხეს. ის მოაჩვენა თვალმა ტყუილათ. ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: მელიას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. საწყალ მოგზაურს სულ წყალი, სულ მოსვენება აგონდება. თვალებიც დიდის სიცხისაგან ამღვრეულები აქვს და ხეირიანად ვერას ხედავს. შორს სიცხის ლული დგას, სხივები სვეტებისავით არიან დაშვებულები და საწყალ მოგზაურს ჰგონია, რომ იქ წყალი და მცენარეები დგასო. დღე ასე ცხელა, ღამე კი ეს უდაბური ადგილი სულ სხვა მიმართულებას მიიღებს: ცა მტრედის ფრად კაშკაშს დაიწყებს. მზის წილად ანათებენ ვარსკლავები. საშინელი სიცხე დღისა გაივლის და მის წილად დადგება საკმაოდ სიცივე: ღამე აქ ძალიან უხვათ აგდებს ნამს ასე რომ თითქმის ერთ გოჯ სიღრმეზე ასველებს ქვიშას. სიბნელის და სიცივის გამო ეს უდაბნო ცხოველდება: საშინელი ნადირნი გამოდიან სასეირნოთ. ხან ისმის ბავშვივით ტირილი ტურასი, ხან ისმის ამოხრინწული ღმუილი მგელ კაცასი, ხან თითქო დაიჭექაო და თითქო მეხი გასქდაო, ისმის შემაშინებელი ღრიალი ლომისა, იმ უდაბნოს მეფისა; გაიგონებენ სხვა მხეცები ამ თავის მეფის ხმას და მაშინვე მიჩუმდებიან. ოო, რა საშინელებაა მგზავრისთვის იმ დროს იქ ყოფნა! მგზავრი აანთებს ცეცხლს, რომ მან გაანათოს მის გარშემო ალაგი და იმითი შეაშინოს თავის მეზობელი. მხეცი ცეცხლი მალე უქრება საცოდავ მოგზაურს, რადგან ის დასაწვავს ვერას იპოვის, და მაშინ ღმუილი, წკავ წკავი მტაცებელი მხეცებისა ისმის უფრო ახლო და ახლო. შეშინებული მგზავრი აქეთ ეცემა, იქით ეცემა, შეჰკრებს გამხმარ ბალახებს და რამდენსამე წამს ისევ გააჩაღებს ცეცხლს და მხეცები მოშორდებიან. ამ წვალებაში და ტანჯვაში ატარებს საცოდავი მოგზაური მთელ ღამეს, რომელიც ისე გძლათ ეჩვენება, თითქო სამი-ღამე ზედი-ზედ მოებაო.

უფრო საშინელია უდაბნო ქარიშხლის ამოვარდნის ჟამს. ბორიალი დგება საშინელი, აქვს ჰაერში ქვიშა და ვაი იმის ბრალი ვისაც ამ ქვიშა-მტვერს მიარტყამს! ის სიცოცხლეს ნულარ მოელის. მთებისავით მიაქვს და მიარბევინებს ქვიშას, გადააქვს ერთი ადგილიდგან მეორეზე. მგზავრს მოეწევა ეს ქვიშა მთესავით გაკეთებული ქარისგან, წააქცევს და დამარხავს; მგზავრი კაცები და ცხოველები, როდესაც შეატყობენ, რომ ეს არის დაიწყობა ქარიშხალი, მაშინვე წაწვებიან ადგილზე, ზურგს ქარს შეაქცევენ და ქვიშა ზედ წაეყრებათ. ხან-დის-ხან, თუ დიდი ქარი იქნება, იმოდენა ქვიშას წააყრის, რომ ველარ წამოუდგება და საუკუნოთ დარჩება ამ ქვიშის მთის ქვეშ; ხან-დის-ხან, როცა ბევრი ხანი არ გძელდება ქარი უბედური მგზავრები ძლივსძლივობით ცოცხალ-მკვდრები ამოდიან ამ ქვიშის მთებიდგან. მართალია, ბევრი მშვენიერი და სასიამოვნო ალაგებია ცხელ ქვეყნებში, მაგრამ აგრეთვე უხვათ არიან ცუდი ადგილებიც, რომლებიც ჩვენებური, ესე იგი ზომიერ ქვეყნებში მცხოვრები ხალხისთვის სანახავადაც საშინელია.

---

## რა სარგებლობა მოაქვს ორთქლის იარაღებით მინდვრების შემუშავებას?

დასავლეთ ევროპაში, მაგალითებრ, ინგლისში და სხვა მხარეებში შესდგა საზოგადოებები და ამხანაგობები, რომელთაც თავიანთ უპირველეს მიზნათ დასდვეს ისა, რომ გაავრცელონ მიწის ადვილად შესამუშავებლად ორთქლის იარაღები, (მაშინები.) ინგლისში დანიშნეს ამ გვარი საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა დიდი მოქმედება ხალხზე და რომელმაც მალე გაავრცელა ორთქლის მაშინებით მიწების შემუშავება. ყველამ ცხადათ დაინახა, რომ ამ გვარად მამულების შემუშავებას დიდი სარფა მოაქვს კაცისთვის.

პირველად ამ გვარ ამხანაგობეებს და საზოგადობეებს ვხედავთ 1861 წ., როდესაც მიწებს ძველებურათ (ჩვენებურათ) მუშავობდნენ. იმათ ნათლათ შენიშნეს, რომ სხვა და სხვა კარგი იარაღებით შემუშავება დიდ სარგებლობას მოუტანს კაცს და ამისათვის ეს ზემოხსენებული საზოგადოებეები ეცადნენ და რამდენიმე მაშინა გააკეთეს, რომლის საშუალებით ხალხი ადვილად მუშაობდა, მაგ. მოიგონეს სალეწი მაშინა და სხ. ამ ნაირივე სარფა და სარგებლობა დაინახეს ეხლა ევროპაში ორთქლის იარაღებით მიწების შემუშავებაში. ეხლა ინგლისში ასზე მეტი ორთქლის მაშინებია, თითქმის ყველანი ფაულერის ქარხანისა (ფაბრიკისა) და ეს მაშინები რამდენიმე კერძო პირების ხელშია. ამ მაშინებს აძლევენ სამუშავოდ ქირით და დიდი სარგებლობა მოაქვთ, განსაკუთრებით იქა, სადაც წესდებულებების მოთავეებ არიან კარგად მცოდნე და საკმაო ღონისძიებეების მქონე პირები. რასაკვირველია საზოგადოებებს უფრო ბევრი ღონისძიებეები აქვთ და უფრო კარგად წაიყვანებენ თავიანთ საქმეს, ვინემც კერძო პირები.

როდესაც გავრცელდა ამ გვარი მაშინები და ყველამ იმათში სარფა ნახეს, მაშინ საზოგადოებებმა დაახლოვეს მაშინების მკეთებლები მომხმარებლებთან, ესე იგი, სოფლის მეურნეებთან. ამათვე ნათლად დაუმტკიცეს, რომ საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მარტო მაშინები მოიპოვოს კაცმა, არამედ მომეტებულად იმაში, რომ უნდა კარგად მცოდნე და კარგათ მამხმარებელი პირის ხელში ჩავარდეს.

წინა პირველად სამუშავო მაშინებს აძლევდნენ იაფად ხალხის მისაჩვევად, როდესაც ხალხმა გაიგო იმათი სიკეთე და სარგებლობა იმ... ებით მიწების შემუშავებისა, მაშინ მუშტარიც გამრავლდა, დაიწყო ქირაობა და საზოგადოებეებმაც აამაღლეს ფასი და მაშინებიც გაამრავლეს. რასაკვირველია, ამითი საზოგადოებები დიდ სარგებლობას შკრებოდნენ. ინგლისს წაბაძეს სხვა ევროპის მხარეებმა; აქაც დაწესდა ამ ნაირ საზოგადოებეები; მაგალითებრ, შარშან წინდელ

წლის მიწურულებში დაწესდა პრუსიაში აქციონური — ბაქის საზოგადოება, რომელსაც თანხად ათი მილიონი მანეთი ჰქონდა. ამ საზოგადოებას აქვს საჯეში, რომ მთელ პრუსიაში განსაკუთრებით კი იმ მაზრებში, რომლებიც მდებარეობენ მდინარე ელბიდგან აღმოსავლეთისკენ, აილოს იჯარით დიდი ხოდაბუნები, გამართოს აქ საუკეთესო მეურნეობა, აკეთოს სხვა და სხვა საწარმოუბელი იარაღები და ამ სახით შეეწიოს მამულების პატრონებს. ალბად, მკითხველო, დიდი სარგებლობა მოაქვს, რომ ასე ეტანებიან ორთქლის მაშინებს მამულების შესამუშავებლად. კარგი იქნება ჩვენც ვიფიქროთ ამაზე, ესე იგი, გავაკეთოთ ჩვენც ეს დიდი სარგებლობის და მუშაობის დროს შელავათის მომტანნი მაშინები. აქ ჩვენში მომეტებულ ნაწილად შავი მიწაა და უფრო გამოდგება ეს მაშინები, ვინემ ინგლისში, საქსონიაში, ვენგრიაში და სხვ., სადაც მამულები ბევრი არა აქვთ და არც ამისთანა ადვილი სამუშავებელი მიწებია; იქ ზოგან დიდი გასუქება უნდება მამულებს: მგონი რომ აქ უფრო წარმატება ექნება ორთქლის მაშინებს თუ თავდარიგიანად შეუდგებიან საქმეს ამხანაგობეები და საზოგადოებები საქმის მცოდნე პირების შემწეობით და ხელთ-მძღვანელობით.

ყველა გვარი მიწის შესამუშავებელი მაშინები: სახნავისა, სათესისა, სამკალისა, სათიბვისა, სალეწისა, საჭირონი და გამოსადეგნი არიან ჩვენში, სხვაც ყველა ნაირი მინდვრის მოსავალი თითქმის ერთ დროს მოდის, ამისათვის აქ კაცი მარტო ვერა გახდებარა, თუ კარგი ღონისძიებები არ იხმარა მუშაობის დროს. აქ მოვიყვანთ იმის რიცხვებს, თუ რამდენად იაფად ჯდება ორთქლის მაშინებით მამულების შემუშავება და სჯობია პირუტყვებით შემუშავებულს. გამოჩინებული მეურნეობის მცოდნე ტეფერის გამოანგარიშებით, რომელმაც ბევრი ხანია რაც დაიწყო მიწების შემუშავება ზემოჩვენებული მაშინებით, ინგლისში, და გერმანიაში მიიღეს შემდეგი შედეგები: საკუთარის იარაღებით მოხვნა, ხარჯი მაშინებზე, ასანთებზე და სხვა წვრილ-წვრილ გასავალებზე, ჯდება თუ მოიხვნება თორმეტიდგან თხუთმეტ გოჯ სიღრმეზე ერთ დესიატინაზე ცამეტ მანეთამდი. ათიდგან თორმეტ გოჯ სიღრმეზე-თერთმეტი მანეთი. რვიდგან ათამდინ — ცხრა მანეთ ნახევარი. ექვსიდგან რვამდინ-რვა მანეთი.

ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ პირუტყვი, რომელიც გუთანში გვიბია, ავათ გახდება და საქმე მოიშლება. გაჭირდება ხოლმე შოვნა ხარისა, და რომ საქმე არ შეაჩერონ სთხოვენ სხვას, მაგრამ ყველას სჭირდება; ყველა თავის საქმისთვის ზრუნავს და სხვას თუ წაუხდება საქმე ბევრი არა ენაღვლება რა. ამ სახით დარჩება მიწა შეუმუშავებლად თავის დროზე. ამ ორთქლის იარაღებით ხვნის დროს ეს დაჭირვებეები არა ხდება და ამის გულისთვის ყველა კეთილ-გონიერი მეურნე, რომელსაც აქვს შეძლება, სიმდიდრე, გეეგება საქმე, უნდა ცდილობდეს, რომ ეს იარაღები მოიპოვოს, ან კიდევ სხვას მიუდგეს, ან მონაწილეობა მიიღოს იმ საზოგადოებაში, რომელსაც აქვს ბლომად გასაქირავებელი იარაღები, რომ იმათგან იქირაოს თავის მამულების სახნავად. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თუ მიწის მოხვნა ორთქლის გუთნით ძალიან ცოტა ჯდება, ვინემ ეხლანდელი ჩვენი გუთნითა, მაშინ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ, ერთხელ მოხვნა ორთქლის გუთნით სამჯერ ჩვენებური გუთნით მოხნულს სჯობია. ეს ცხადად გვიმტკიცებს, რომ ორთქლით მუშაობა ჯდება ძალიან იაფად ჩვეულებრივზე.

ორთქლის გუთნის ქირაობა ცოტა ძვირად ჯდება, ვინემ სხვა იარაღები, რომლებითაც უფრო მალე შეიმუშავებს კაცი ნიადაგს. მაგრამ რაც უნდა იყვეს, როგორც უნდა ძვირად იყოს, მაინც და მაინც ჩვენებურ (ძველებურ) გუთნით შემუშავებულს ბევრით სჯობია და აქ რომ ცხადათ დავანახოთ მკითხველს მისი უკეთესობა, ჩამოვთვლით იმას, თუ რა სარფას მოუტანს მამულის პატრონს ორთქლის გუთნით შემუშავება მიწებისა: 1) *ფრიად კარგა შემუშავდება ნიადაგი.* ჩვეულებრივ ხვნის დროს, ნიადაგი ერთ სიღრმეზე არ იხვნება; ეს მოხდება იმისგან, რომ ხარები, ან კამბეჩები, რომლებიც გუთანში აბიან, ხან ძალიან ღონივრად გაიწევენ, ხან სუსტად, ამისგამო ალაგ-ალაგ ღრმად მოიხვნება და ალაგ-ალაგ კი სულ გოჯ ნახევარზე ვერ გასჭრის მიწასა; ხან კიდევ ეს შეცდომა მოხდება ხოლმე თითონ გუთნის დედის თავხედობით. ის უნდა ცდილობდეს, რომ გუთანი სულ ერთ ნაირად ატაროს: არ უნდა აუშვ-დაუშვას უბრალოდ. საზოგადოდ ქართველები ცუდად ხნამენ; მომეტებული ნაწილი ხნულისა მხოლოდ გაჩიჩქნილია; განათლებულმა მეურნემ მაგ. ფრანცუზებთაგანმა, ნემეცებთაგანმა, რომ ნახოს ქართული ხნული ეგონებათ ღორებს უჩიჩქნიათო. ხნულის თავი და ბოლო თითქო ჩხირით გაუჩიჩქნიათო, ისე არის თითქმის თითო საქენზედ. უბედურობა ჩვენი ბედისაგან დაჩაგრული ხალხისა ისაა კიდევ, რომ ამ უხეიროდ გაჩიჩქნილ ხნულის თავბოლოზედაც თესამენ ხორბალს და მერწმუნეთ, მკითხველო, როგორც ხელის გულზე ბანალი არ ამოვა, ისე იქ არა ამოდისრა. აბა რა ამოიყვანს, როდესაც მიწა ვერა ჰფარამს და ფრინველებს და თაგვებს მიაქვთ. ტყუილად ჰკარგავენ თესლს. ორიოდ სამი გამამცხვარი პური გამოუვათ იმ თესლიდგან, რომელსაც იქ ფუჭად აბნევენ და ეს საწყალი, ბედკრული ქართველისთვის კარგი ავლა-დიდებაა. აი რამდენი ზიანი მოაქვს ჩვენ მამა-პაპურ გუთანს. ამ სენის, ამ ვნების წამალია ორთქლის გუთანი. მხოლოდ ეს მოუღებს ბოლოს, მხოლოდ ეს მოარჩენს. 2.) ორთქლის გუთნით თავის დროზედ შეიმუშავებ მამულს, ნამწეწი დროება არ დაგეკარგება ტყუილად. 3) ეს გუთანი ძალიან ღრმად ხნავს; მაშასადამე ძირიან-ფესვიანად ამოიღებს ბალახებს ხვნის დროს და პურს გაზდაში აღარ დაუშლის და აღარც იმის ალაგს დაიჭერს. 4). ამ გუთნით მოხნული მიწისაგან სრული იმედი უნდა ჰქონდეს პატრონს, რომ ის ნაყოფიერ მოსავალს მისცემს მას. ჩვენ ზემოთაც ვსთქვით და ეხლაც გავიმეორებთ, რომ ეს გუთანი ძალიან ღონივრად ედება და ღრმად

სთხრის მიწას; თანასწორად მისდევს, ამისგამო ოდნივ გაჩიჩქნილი და სხვაგან ღრმად მოხნული ალაგები არ რჩება; რადგან ღრმად ხნამს, ამის გამო ბალახის ფესვები, რომლებიც ძალიან უშლიან პურს, როგორც ამოსვლას, ისე კიდევ ამოსვლის შემდეგ, მისს გაზდას და კარგი თავთავის ატანას,—ეს ფესვები სულ ერთიანად სცვივიან და ნადგურდებიან.

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ მიზეზი იმისა, რომ ევროპაში ასე წარმატება მიეცა ორთქლის გუთნით მამულების შემუშავებას, იყვნენ და კიდევაც არიან ამხანაგობეები და საზოგადოებები. ჩვენში კი ჯერ, მგონი, არც კი იციან ეს ამბავი. საზოგადოდ რა სარფა აქვს მამულის პატრონს ორთქლის გუთნებით, გამოვხატავთ მოკლედ ორ შემდეგ აზრში: 1) წმინდა მოგება ორთქლის გუთნებით მამულების წარმოებისა გამოჩნდება კარგი მოსავლების გამო ნამუშავრებში, თუ მაშინვე არა, უეჭველათ მომავალ წლებში. 2) რიგიანად სამუშავოს განაწილების გამო და აგრეთვე რიგიანად კარგი დროებით სამუშავოს გასაკეთებლად, სარგებლობის გამო შემოსავალი მთელი მეურნეობისა დასახლოსნობისა ძალიან აიწევს. ეს სარგებლობეები ისე შესანიშნავნი არიან, რომ სრულიად დააჯილდოვებენ და თავის დროზე დაჰფარავენ იმ ხარჯს, რაც მოუნდა ორთქლის იარილის მოპოებას. ამისგამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითეული კეთილ-გონიერი მხნელ-მთესველი კაცი, რომელმაც კარგად იცის მდებიარება თავისი მამულებისა, ცოტა რამ გეეგება და აქვს გამოცდილება, არ უარ-ჰყოფს, რომ ისარგებლოს იმითი, რაც მოაქვს ორთქლის იარაღს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითონ მიიღებს მხედველობაში კიდევ იმ სარფეებს, რომლებიც მოაქვს კ ა რ გ ა დ მ ი წ ი ს შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა ს და შედარებით ძალიან ნაკლებ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს დროებისაგან, დარისაგან და მუშებისაგან. ეს ყველასთვის, მგონი ცხადი იყვეს და ამისთვის, რომ გავაჭიანუროთ, ხელ-მეორეთ მოვყვეთ ორთქლის იარაღის ჩვეულებრივი იარაღებთან შედარებას, დროს ტყუილად დაკარგვა იქნება.

რასაკვირველია ცუდი არ იქნება, რომ ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს ჩვენშიაც და დააწესონ საზოგადოებები იმ გვარივე, როგორებიც დასავლეთის ევროპაში არიან და ეხლა რუსებიც დიდის სიამოვნებით, ჩვეულებისამებრ, სჭიდებენ ხელს და თავიანთკენ მოითრევენ იმ გვარივე მიზნით, რა მიზანიც იქ აქვთ სახეში საზოგადოებებსა და რომელზედაც ჩვენ, როგორც შეგვეძლო, ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ჯერ ჩვენი ხალხი ღარიბია, მაშასადამე სად შეუძლიან იმტენი ფულის შექუჩება, რ(ა)მ ეს ორთქლის მაშინები მოიპოვოს. არიან თითო ორ-ორა კარგი გამოჩენილი მდიდარი მოსახლეები, რომელთაც აქვთ იარაღები, სალეწი, სათესი, საცელი; ამათ, რომ იმოდენა კაცთ-მოყვარება იქონიონ, რომ ხალხს ჩააგონონ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ ნაირი იარაღით მუშაობას, შეეწივნონ იმათ, ესე იგი, მიიყვნონ ისინი ფულში და სანახევროდ გამოიწერონ ზემო ხსენებული იარაღები, მაშინ იქნება როგორმე იმედი მოიცეს ადამიანის შვილმა, რომ ჩვენი ქართველობაც მოეწევა რასმეს და როგორმე გაისწორებს დახლართულ, სხვა და სხვა შემავიწროებელი მიზეზების გამო, ცხოვრებას. კეთილ-სვინიდისიანი, განათლებული მეურნეები, რომლებიც ჩვენ ქართველობაში ცოტა მაინც იპოებიან, უნდა ხელ-მძღვანელობას უწევდენ თავიანთ თანამოძმეებს—ქართველებს. ვსთქვათ, რომ ქართველმა-გლეხმა დაინახა საჭიროება ამ გვარი იარაღებით მამულების შემუშავებაში, ის ვერ მოიპოვებს, იმან არ იცის რაქნას, საიდგან იშოვოს, ერთის სიტყვით არ იცის გზა. ამას უნდა გზის ჩვენება, ხელთ-მძღვანელობა. კარგი მეურნე, როდესაც შეატყობს ამისთანა ლტოლვას, სურვილს, მაგრამ გზის უცოდინაობას, გაუწევს ხელთ-მძღვანელობას და შემწეობას, თითონ მიიღებს შრომას და გამოიწერს ამ იარაღებს და რაკი გზა გაეხსნება მერე გლეხი-კაცი თითონაც იმის უშემწეოთაც კარგად მოიპოვებს. მაგრამ საუბედუროდ ასე არ იქცევიან ჩვენი განათლებული მეურნეები, მე თითონ კარგად დარწმუნებელი ვარ ამაში, რადგანაც ვიცნობ ორ მდიდარ და ამასთანავე განათლებულ მეურნეებს შიდა ქართლში.—ისინი ამ სიტყვებს მიზდევენ: «ოღონდ მე ვიყვე კარგათ, მე ნურა დამიშავდებარა და სხვა ფეხებზე მკიდია». მგონი კიდეც უხარიანთ, რომ ასე სიღარიბეში არიან იმათი საწყალი თანამოძმენი, რადგან იმათ შემცილებლები არავინ ეყოლებათ და სიმდიდრე იმათკენ დატრიალდება. მოკლეთ ვსთქვათ და გავათაოთ: ისინი მხოლოდ თავის ჯიბისთვის ცხოვრობენ, ცდილობენ გამდიდრდენ სხვის ხარჯზე, მაგრამ, იქნება, ამ გვარებს იმ დიამბეგის საქმე დაემართოთ, რომელიც ცივის ხმით ამბობს:

«ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე».

---

**რა ვნებას შეუმლიან ჭექა-ქუხილს და რა საშუალებით უნდა უშველოთ მეხ-დაცემულს?**

მაშინ, როდესაც დიდი წვიმა მოდის, ქუხილი არ არის საშიში და რამდენათაც ღრუბლები უფრო შავია, იმდენათ უფრო დიდი წვიმა მოდის; საშიშნი არიან მოწითლო და მოყვითლო ღრუბლები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქუხილი სხვა ღრუბლებისგან ხდება. ელვა ანუ, როგორც ჩვენში ვიცით, მეხი, ძალიან ეტანება სპილენძეულობას, ტენიან და სველს საგნებს: შენიშნულია, რომ მეხი როდესაც აყვავებულ ხეს დაეცემა, ის ქერქსა და გულშუა გაირბენს ხოლმე, ეს იმიტომ, რომ იქ უფრო ბევრია ხის წვენი და მეხს სველი ადგილები უყვარს. ძალიან იტაცებენ მეხს კიდევ მწვეტი და გამოშვერილი საგნები: გემების ანძები (*мачты,*) სამრეკლოები, ტელეგრაფის ბოძები და სხვათა შორის კაცები და პირუტყვებიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელები ჭექა-ქუხილის დროს გარეთ სადმე მოჰყვებიან. ძალიან ცუდია, თუ ამისთანა დროს კაცი ხეს, ან ბოძს რასმე

მიეფარება, ამისათვის, რომ ისინიც და კაციც ძალიან იტაცებენ მეხს და ამისათვის როდესაც ისინი ერთათ იქნებიან, უფრო დიდს უბედურებას მოახდენს.

თუ ჭექა-ქუხილმა მინდორზე მოასწრო ვისმე, მაშინ ის ან დედა-მიწაზე უნდა გაწვეს, ან კიდევ რუვში სადმე ჩაწვეს.

გაქცევაც ძალიან საშიშია, ამისათვის, რომ სირბილის დროს კაცს ოფლი გამოსდის და ამისგამო უფრო ეტანება იმას მეხი. მოხდება ხოლმე, რომ მეხმა მოკლას ოფლიანი ცხენი და ზედ მჯდომს კი არა დაუშაოსრა. გახურებული სპილენძი, რომელიც ცხენის იარაღზეა, ძალიან უყვარს მეხს. ყველაზე უფრო წითელი ელვაა საშიში: ის რასაც დაეცმა ცეცხლს მოუკიდებს, ხეებს სულ გაანადგურებს და კაცსაც თვალის დახამხამებაზე გააქრობს. თუ ელვამ სახლი დასწო, იმ ადგილზე კიდევ უნდა მოველოდეთ იმას, ამისთვის, რომ იქ ჰაერი ძალიან ხურდება და ის გახურებულ ჰაერს სულით დაეძებს.

კომლს, ორთქლს და სხვა ამისთანა საგნებს ძალიან ეტანება მეხი. თუ ძალიან მაგრა დაეცა მეხი, მაშინ ისე გაირბენს შუაში, რომ ცეცხლი არ მოუკიდოს, ეს ამისთვის, რომ მსწრაფლად გაირბენს და ცეცხლის მოკიდებას ველარ მოასწრობს. ამობენ, რომ ჭექა-ქუხილი იმ მხრით მოდის სულ, საიდგანაც პირველად მოსულაო. ხშირად მოხდება ხოლმე რომ მეხ-დაცემული კაცი შეწუხდება და კი არ მოკვდება. მაშინ თუ მალე მიაშველეს საშუალება რამე, უთუოთ მორჩება. შემდეგი საშუალებეები ძალიან სასარგებლონი იქნებიან მეხ-დაცემულისთვის: უნდა სულერთიანათ გაატიტვლონ, ქოხში სადმე შეიყვანონ და დააწვინონ ისე, რომ თავი კარგა მაღლა ედოს ბალიშზე. თავ-პირზე უნდა წყალი ასხან, სხეული უნდა უზილონ შალის ქისით, რომელსაც ტფილისში აბანოში ხმარობენ, პირთან და ცხვირთან დამწვარი ფრთა მიუტანონ და ასუნებინონ. თუ ამან არა უშველარა, მაშინ ის უნდა მიწაში წაფლან და მარტო პირილა უნდა გამოუჩინონ და თავი მაღლა დაუდონ.

ზოგიერთა გამოცდილი კაცები ურჩევენ რომ მეხ-დაცემული ნაგავში სადმე ჩაფლან და იქ დაანარჩუნონ სამი საათის განმავლობაში. ამასთანავე ურჩევენ, როგორც პირველ შემთხვევაში, ეგრეთვე მეორეშიც პირის სახეზე უსხონ ძმარი, ღვინო და ან ნავთი. ცხვირთან და ტუჩებთან უნდა მიუტანონ შუაზე გაჭრილი ხახვი ანუ ხრენი (ისეთი ბალახის ძირია, რომელიც პირს შუშხამს.) და ასუნებინონ.

---

### დიდხანს შეიძლება უჭმელათ სიცოცხლე?

ის ცხოველები, რომლებიც ხორცეულობის ჭამით ცხოვრობენ, რაკი გაძღებიან, მერე დიდხანს აღარ მოჰშივათ, მაგრამ მალიან ხარბათ კი სჭამენ; ის ცხოველები კიდევ, რომლებიც ბალახეულობით ცხოვრობენ, სულ თითქმის განუწყვეტლივ სჭამენ; ამისათვის, რომ იმათ ბევრი საზრდო უნდებათ სიცოცხლის დასაცველათ. ცხადია, მაშასადამე, რომ ხორცის მჭამელები უფრო ბევრს ხანს შესძლებენ უჭმელობას, ვიდრე ბალახის მჭამლები, მაგ. ლომი, კატა, ძაღლი და სხ. უფრო ბევრ ხანს შესძლებენ, ვიდრე კურდღლის ბაჭიები, ძროხები, ცხვრები და სხ. ამათ რომ ერთი ბეწო ხანს მოაკლდეს საჭმელი უვირილით გასკდებიან. ზოგი ერთა ცხოველები საკურვლად დიდხანს ითმენენ შიმშილს: შენიშნეს, რომ ბებერა (ობობა) თექვსმეტი კვირა მშიერი იყო და კიდევ ცოცხალი დარჩა; ერთს მსწავლულს სამი წელიწადი ჰყვანდა დამწყვდეული ერთი ბუზანკალი უსაზრდოოთ, მერე ამოუშო და კიდევ გაფრინდა. გველები უჭმელათ რამდენსამე თვეს სძლებენ; ზოგიერთა თევზებს სამ წლამდინ შეუძლიანთ უჭმელათ სიცოცხლე. კაცი უსმელ-უჭმელათ ხუთს, ან ექვს დღეს გასძლებს, მაგრამ არიან იმისთანა შემთხვევები, როდესაც კაცი მეტს გასძლებს, მაგ. საღი კაცი თუ არ ის დიდხანს იცოცხლებს მშიერი, ეგრეთვე დიდი პატარაზე ბევრს იცოცხლებს და თუ იქ, სადაც მშიერი კაცია, ჰაერი წმინდაა, მაშინაც ბევრ ხანს შესძლებს, ვიდრე მაშინ როდესაც ჰაერი გაფუჭებულია. ზოგი მეორე-მესამე დღეს მოკვდება, ზოგი ათს და თითქმის თექვსმეტს დღესაც გასძლებს ხოლმე. ისინი, ვინც თავის მოსაკლავად მალათ იმშევენ, თორმეტს კვირაზე მეტს ვერ იცოცხლებენ. ერთმა ცოლის მკვლელმა იცოცხლა სამოცდა სამი დღე, მაგრამ ის ამ დროების განმავლობაში ზოგჯერ წყალს სომდა და თითო ბეწოსაც რასმე შეშჭამდა ხოლმე. ერთმა კიდევ ორი თვე იცოცხლა, მაგრამ ისიც ათასში ერთხელ აპელსინს გამოსწუწნიდა ხოლმე. ამათ ესე ბევრს ხანს იმისთვის იცოცხლეს, რომ ზოგჯერ წყლიანს რასმე სჭამდენ; ამათ, რომ ამის მაგიერათ მაგარი საჭმელი ეჭამათ უფრო მალე დაიხოცებოდნენ. ფრინველები უსმელ-უჭმელათ ცხრა დღეზე მეტს ვერ შესძლებენ, და თუ ზოგჯერ წყალი ვასვით, მაშინ კი ოც დღესაც იცოცხლებენ.

---

### უწყლოთ რამდენს ხანს შეიძლება გაძლება?

წყურვილი იმისგან წარმოსდგება, რომ კაცის სხეულში წყალი იმაზე ნაკლები იქნება, რაც იმისთვის საჭიროა. ეს ნაკლებობა უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე შიმშილი, ამისათვის, რომ ეს უფრო დიდს საჭიროებას შეადგენს, ვიდრე სხვა საზრდო. ეს იქიდგანა სჩანს, რომ კაცის სხეულში ას ნაწილზე სამოცდა ათი ნაწილი წყალი მოდის; ამასთანავე ეს ძალიან მალე ილევა კაცის სხეულში და ამისათვისაც ბევრი და ხშირად იხმარება დანაკლები წყლის და-

სასაჩუქრებლად. სუნთქვის დროს, რომ ორთქლი ამოდის ჩვენი გვამიდგან და ოფლი სულ ის წყალია, რომელსაცა ვსვამთ; ამის გარდა ჩვენის სხეულიდამ კიდევ ისეც გამოდის, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ, მაშასადამე საჭირო წყალი ძალიან მალე მოაკლდება ჩვენს სხეულს; მალე უნდა შეისრულოს და თუ ვერ შეისრულა უამისოთ დიდხანს ვერ შესძლებს. დამტკიცებულია ისიც, რომ ჩვენი სხეულიდ ამ დღეში სამ გირვანქამდის წყალი გამოდისდა ამასთანავე ისიც, რომ წყალი ერთი ისეთი საჭიროებათაგანია, ურომლისოთაც არა სულიერს არ შეუძლიან სამ დღეზე მეტი იცოცხლოს.

ამის დასამტკიცებლათ, რომ წყურვილი ძნელი ასატანია და დიდხანს არ შეუძლიან კაცს უამისოთ სიცოცხლე, მოვიყვანთ შემდეგ შესაზარელს მაგალითს:

ერთხელ ინდოეთში ინგლისელებმა ერთი ინდოეთური ვაჭარი დაატუსაღეს. ამ შემთხვევამ ძალიან გააბრაზა ერთი ინდოეთის მეუფროსე, რომელიც ბლომა ჯარით ჯავრის ამოსაყრელათ 1858 წელში დაეცა ერთს ინგლისელების ციხეს, აიღო და 146 კაცი (სალდათები) ტყვეთ წაიყვანა. ამ უსულო უფროსმა იფიქრა რით დავხოცო ესენიო, რომ ძალიან იტანჯნენო და მერე მოიგონა ამათი წყურვილით ამოწყვეტა. ამისათვის დაამწყვდევინა ესენი ერთს პატარა სარდაფში, რომელსაც შავს გამოქვაბულს ეძახდნენ და რომელიც სულ ყველა მხრით დახურული იყო, მხოლოდ პაერი ერთი პატარა ფანჯრიდგანდა შედიოდა. ეს საწყალები ას ორმოცდა ექვსი კაცი აქ ვერ დაეტივნენ და ადგილი რომ აღარ იყო ერთმანეთზე სხდებოდნენ. რასაკვრელია ვიწროობის გამო ძალიან დასცხებოდათ და ბევრი ოფლი გამოუვიდოდათ. ამასთან ისიც რომ დაუმატოთ, რომ ინდოეთი ისეთი ცხელი მხარეა, რომ შენ, ჩემო საყვარელო მკითხველო, არამც თუ დღე, დამეც კი ვერ ნახავდი იმ გრილს სიოს, რომელიც შენ ჩვენს სამშობლოში მოგბერავს და ოფლიან გულს გაგიგრილებს ხოლმე,-მაშინ კარგათ შეიტყობ იმ უბედური სალდათების წვალებას. არ გაუვლია სამ საათს რომ ამათ იგრძნეს საშინელი წყლის წყურვილი, ამისათვის, რომ ბევრი ოფლი მოუვიდათ და სხეული დანაკლისს წყალს თხოულობდა. რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენათ უფრო სიცხე ემატებოდა და სიცხესთან წყურვილი. ერთმა საწყალმა რო ვეღარა გააწყორა, გატიტვლდა და ქვეით დაიწყო თავის გრილება. ეს რო სხვებმა დაინახეს, ისინიც მაშინვე გაშიშვლდნენ და იწყეს ტანისამოსის ჭაერში ქნევა, მაგრამ ამით უფრო დაცხუნეს. ვინც უფრო სუსტები იყვნენ მეტი ვეღარ შესძლეს დაეცნენ ძირს და სხვა გაშფოთებულმა ამხანაგებმა დაუწყეს ქელვა ამ უბედურებს. ბოლოს ბევრი მეტის-მეტის წყურვილისაგან შეიშალა და დაიწყო ყვირილი: «წყალი, წყალი!» ერთს მოხუცებულ ინდოელს კაცს შეეცოდა ესენი და რამდენიმე კოკა წყალი მოატანინა, მაგრამ საქმე უფრო ცუდათ წავიდა. აი რას ამბობს ერთი იმ დამწყვდეულებში მყოფი: «წყლის დანახვამ სულ ერთიანათ დაგვაგიჟა, და როგორც მგლები, ისე მივცვივდით წყალს. მე ვხედავდი, რომ აქედგან კარგი არა გამოვიდოდარა და ამისთვის უშლიდი ჩემს ამხანაგებს წყლის დალევას, მაგრამ ტყუილათ-იმათ თავიანთი არ დაიშალეს. მინამ წყალს მოიტანდნენ, მინამ მე ძალიან არა ვგრძნობდი წყურვილს, მაგრამ რაკი წყალი დავინახე, მომწყურდა და მერე როგორ? ვინადამ გავგიჟდი.»

»ამ სარდაფში წყლის შემოწოდება არასაით შეიძლებოდა, თუ არ ქვეით პატარა ფანჯარიდგან, მაგრამ, უნდა გენახათ რა ამბავი დადგა როდისაც ქვევის იშვერდნენ წყლის ასამსებათ! აირივნენ ერთმანეთში, ყველა წინ მისვლას ცდილობდა ფანჯარასათან, ლანძღავდნენ, სცემდნენ ერთმანეთს და ერთი ალიაქოთი შედგა! ერთმანეთს სტაცებდნენ ქვევებს, სულ ერთიანათ იღვრებოდა და თითო ცვარს ძლივდა სვამდნენ! უნდა გაგეგონათ ზოგიერთის გულის მომკვლელი ყვირილი და ხვეწნა ერთი ცვარი მაინც დამალევინეთო! ამ ალიაქოთში კიდევ რამდენიმე წაიქცა და ფეხებით გაჭყლიტეს გამწარებულმა ამხანაგებმა!»

»ესეთ სატოლდაობაში ვიყავით ცხრა საათიდგან თერთმეტ საათამდე, რომლის განმავლობაში მე ძალიან ბევრი ვიტანჯე, რადგანაც ფანჯარასთან ახლო ვიყავ და ამოდენა ხალხი სულ ზედ მაწვებოდა. ძალიან რო შევწუხდი, შევეხვეწე გამიშვით საფურობილის შუა ადგილას მეთქი, სადაც უფრო თავისუფლობა იყო, გავიდე და იქ შვიდობიანათ მოვკვდე მეთქი. მესამედი დამწყვდეულებისა სულ დაიხოცა და მე ზედ მკვდრებზე დავწექი. მაგრამ წყურვილი უფრო და უფრო გამიძლიერდა; გულმა დამიწყო ტკივილი და მაგრა ცემა. ავდექ მე და რაღაც მალით იყო მივედ ფანჯარასთან და მოვითხოვე წყალი. წყალი მომცეს, მაგრამ იმის დალევით უფრო ცუდათ ვიგრძნე ჩემი თავი და გადავწყვიტე, რომ აღარ დამელივა. გამოველ კიდევ როგორც იყო აქეთ დავწექ მკვდრებზე და დაუწყე ჩემს ოფლს წუწნა; ამან ცოტა მომიტყუილა წყურვილი.»

«შუაღამისას ბევრი ჩვენგანი სულ ერთიანათ შეიშალა და დაჰკარგა ცნობა, მაგრამ ყველას ესმოდათ, რომ ცოტა ცივი

წყალი უფრო ამღიერებდა წყურვილს და ამისათვის დაიწყეს უვირილი:» ჭაერი, ჭაერი!» მისცვიდნენ ყველანი ფანჯარას, მოგჭიდნენ ზედ და აღარაფრით აღარ შეიძლებოდა იმათი იქიდგან მოშორება; როგორცმე მოეკაუჭებოდნენ, მაშინვე იხოცებოდნენ. მე როგორც იყო კიდევ გავედი საპყრობილის შუაადგილას, სადაც მკვდრებს საძაგელი სუნი და ოფლი ასდიოდათ; მე თითქმის აღარ ვგრძნობდი ტანჯვას; ძალა სულ გამამელია. ორი საათიდამ ექვს საათამდინ მე სულ აღარა მახსოვდარა, რა მოხდა ჩვენში. ექვს საათზე გაგვიღეს კარები და გაგვიშვეს, მაგრამ რაღა დავრჩით: 146 კაცში მარტო ოცდა სამიღა გადარჩა ცოცხალი, სხვა სულ ერთიანათ დაიხოცა.»

ცივი წყლის წყურვილის დროს ამისთანა გასაოცარ მოქმედებას იმითი ხსნიან, რომ ის შიგნეულობაში ჭმართებს კაცს ანთებას და მით უფრო აძლიერებს სიცხეს. დამტკიცებულია, რომ სიცივე ანთებას აჩდენს და ამისთვისაც ჩვენი სხეულის შეცივნული ნაწილები წითლდებიან. ექიმები ურჩევენ, რომ წყურვილი თბილი რითიმე, მაგ. ჩაით, მოიკლან და არა ცივი წყლით.

აი როგორა ხსნიან მწყურვალი კაცის მდგომარეობას: პირველად პირი, ყელი და სასა უშრება; მერე პირი ემსება სქელი ნერწყვით, ენა სასაზე ეკვრება, ხმა ჩავარდება, თვალები ცეცხლივით აენთება, სუნთქვა გაუჭირდება, განგალს დაიწყებს და ამას ხშირათ ბოდვაც მოჰყვება; ძილში წვალობს და ესიზმრება ლამაზი ჩრდილი ტყეები და ცივ-ცივი წყაროები და სხ.

რამდენ ხანს შეუძლიან კაცს ცხოვრება?

ბევრი მაგალითებით და გამოცდილებებით დამტკიცდა, რომ კაცებს შეუძლიან ეხლაც ისე დიდ ხანს იცოცხლონ, როგორც ცოცხლობდნენ ძველებურ დროში. მკვდრების რიცხვები გვაჩვენებს, რომ მთელს ევროპაში ამ საუკუნეში სიკვდილი ძიელ შემცირდა, და რიცხვი დიდიხნის კაცებისა გვაჩვენებს, რომ ამ საუკუნეში კაცი უფრო ბევრს ცხოვრობს, სინამ წარსულ საუკუნეში.

კაცს შეუძლიან მიაღწიოს ღრმად მოხუცებამდის ყოველს მხარეში — როგორც იქ, სადაც ცივა, აგრეთვე იქაც, სადაც ცხელა: მაგრამ კაცი მაინც სადაც ცივა იქ უფრო დიდხანს ცოცხლობს, სინამ სადაც თბილა, ამაღლებული ალაგის მცხოვრები უფრო ბევრს ცხოვრობენ, სიანამ ჩავარდნილი ალაგისა.

დიდხნის სიცოცხლისთვის საჭიროა, რომ ჰაერი იყოს თანასწორი და უეცრივ არშეიცვლებოდეს ხოლმე, უეცრივ თბილი ჰაერის ცივად გადაქცევა და ცივი ჰაერის თბილათ უშლის კაცსა, რომ მიაღწიოს ღრმა სიბერემდის. აგრეთვე მომეტებული სიხმელე და სინოტივე ჰაერისა არის მავნებელი დიდიხნის სიცოცხლისთვის: კუნძულზედ უფრო დიდხანს ცხოვრობენ ხოლმე ხალხი, სინამ ხმელეთზედ.

რუსეთში, შვეციაში, დანიაში და ინგლისში დიდიხნის კაცები ბევრნი მოიპოვებიან. ამბობენ, რომ კაცი რამდენიც უფრო დაუახლოვდება ბუნებას და მის კანონებს, იმდენი უფრო ბევრს იცოცხლებსო: მაგ. სოფლის მცხოვრებნი, მიწის მხვნელები და მწყემსები უფრო დიდხანს ცხოვრობენ, სინამ ის მუშა კაცები, რომლებიც სახლებში სხედან და მუშაობენ. ცოლებიანი კაცები უფრო დიდხანს ცხოვრობენ, სინამ უცოლოები; არც ერთი ისეთი უცოლო კაცს არ არის, რომ ას წელიწადზედ მეტი ეცხოვროს; ქალები კაცებზედ უფრო მოხუცდებიან ხოლმე, მაგრამ კაცები უფრო ღრმად მოხუცდებიან ხოლმე, სინამ ქალები.

ის დიდხანს ვერ იცოცხლებს, რომელიც ბევრსა სჭამს, ბევრს ღვინოსა სვამს და ბევრს ხორცსა სჭამს. ისინი, ვინც დიდხან სცოცხლობენ, უმეტესობაში იკვებებიან მცენარის საჭმელით და ხორცს ძრიელ იშვიათათ სჭამენ ხოლმე. იმ კაცების რიცხვიდამ, რომლებმაც ღრმა სიბერემდის მიაღწიეს, ერთმა რუსის ნემენცმა დუდალსმა იცოცხლა 120 (ასოცი) წელი და შვიდი თვე; ის სვამდა ერთ წყალს, ზაფხულობით მაწონს, ზამთრობით კვერცხის ქაფს და მეხუდის 1 ჭამდა, თავის სიცოცხლეში ხორცი ძალიან ცოტა ჭამა, იმისთვის რომ ის ხორცს იშვიათათ მოიპოვებდა ხოლმე. დუდალს ღვინო სრულებით არ უყვარდა და დალევდა ხოლმე ერთს სტაქანს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალას დაატანდნენ ხოლმე, იმას ძალიან უყვარდა პაპანაქება სიცხე, ზამთრობით კი ისე ახურებდა თავის ოთახს, რომ სხვა უცხო კაცი იმ სიცხეს ვერ აიტანდა. თავის სიცოცხლეში ის ძალიან ავად არას დროს არ ყოფილა; ის მოკვდა გადამდები სახადით, რომელიც თავის მეზობლიდამ შეხვდა. მოხუცებული ყველასთვის მადლიერი იყო თავის ბედისა, ამასთან ღვთის მოყვარული და მომთმინო. ის უკმაყოფილოთ არავიზედ არ იყო, არცარავის გაუგონია იმისგან ცუდი სიტყვა.

ერთი პეტერბურგის ახლო სოფელში მცხოვრებელი ქალი, მთელ თავის სიცოცხლეში არყანოვის პურით და კვასით იკვებებოდა, არასდროს არ დალევდა ღვინოს და არაყს, მაგრამ თამბაქოს მოწევა ძალიან უყვარდა. როგორც დუდალს უყვარდა ფეხით სიარული, აგრეთვე ეს ქალიც სიკვდილის სამი წლის წინად ერთ დღე და ღამეში თხუთმეტ ვერს გაივლიდა ხოლმე.

იმან იცოცხლა ას თხუთმეტი წელი, რვა თვე და ოთხი დღე.

ფეოდოსიაში ერთმა მუშა სომეხმა იცოცხლა ას ოცდა ორი წელიწადი; თავის სიცოცხლეში ის ერთხელის მეტად არ დამთვრალიყო. ყმაწვილობაში ზურგით ოცდა ათს ფუთს ზიდავდა ხოლმე.

გერმანიაში ერთმა ნემეცმა ას ოცდა რვა წელიწადი იცოცხლა; უკანასკნელ დროს ყავარჯენებით დაიწყო სიარული, მაგრამ მაინც კიდევ კარგად ეყურებოდა და ხედავდა. დანიაში ერთი ას ორმოცდა ექვსი წლის კაცი მოკვდა და უკანასკნელ დრომდი გასაოცარი ძალა და სიმხნევე გამოიჩინა. ას წელს კი ძიელ ბევრნი ცოცხლობენ, განსაკუთრებით რუსეთში.

რამდენი ხანი უნდება კუჭი სხვა-და-სხვა საჭმელების მონელებას?

| | საათი | მინუტი. |
|---|---|---|
| შეწული გარეული ნადირის ხორცი ითხოვს | 1 | 35 |
| შემწვარი გოჭი | 2 | 30 |
| შეწული ბატკანი | 2 | 30 |
| მოხარშული ხორცი მარტო მარილით | 2 | 45 |
| შემწვარი რბილი ხორცი | 3 | — |
| ღორის ლორი | 3 | — |
| მოხარშული ცხვარი | 3 | — |
| ახალი მოხრაკული ღორის ხორცი | 3 | 15 |
| მოხრაკული ცხვარი | 3 | 15 |
| ხორცი ხმელი, რბილი, შეწული | 3 | 30 |
| შემწვარი ხბოს ხორცი | 4 | — |
| მოხარშული ძველი, დამარილებული ხორცი | 4 | 15 |
| ხბოს ხორცი მოხრაკული ერბოში | 4 | 30 |
| მოხრაკული რბილი მსუქანი ღორის ხორცი | 5 | 15 |

რამდენ ხანს ცხოვრობენ ცხოველები?

ქვე-მძრომი ცხოველებიდამ ზარმაცი კუები იზდებიან ნელ-ნელა, ამისათვის ასი წლის და მეტისაცა კვდებიან ხოლმე; თევზებში ქარიყლაპია და ჭანარი ცხოვრობენ ასოცდა ათ წელიწადს. ისინი, რომლებიც მალე იზდებიან, დიდხანს არა ცოცხლობენ როგორც, მაგ. ორაგულის შვილი ქორჭილა (თევზია,) რომელიც ნელ-ნელა იზდება, დიდხანს ცოცხლობს. ფრინვლებში ის ფრინველები დიდხანს ცოცხლობენ, რომელნიც ხორცსა სჭამენ; მაგ. დიდი არწივი ას წელიწადს და ხან მეტსაც იცოცხლებს ხოლმე.

ლონდონში ერთი მამინო იყო, რომელმაც ას ოთხმოცდა თორმეტი წელიწადი იცოცხლა; ყვავიც აგრეთვე ას წელიწადს და ხან მეტს ცოცხლობს ხოლმე. ფარშავანგი ოც წლამდინ იცოცხლებს ხოლმე, მაგრამ პატარა ჩიტები კი საზოგადოდ ძიელ ცოტას ცოცხლობენ ხოლმე, მხოლოდ მალაღურის და საყა ჩიტის მეტი, რომლებიც ხანდისხან ოც წლამდის მიახწევენ ხოლმე.

იმ ცხოველებში, რომლებიც რძით იზდებიან, ყველაზე დიდხანს სცხოვრობს სპილო; გვარწმუნებენ, რომ ის ხანდისხან ორას წელიწადს იცხოვრებს ხოლმე. დათვი და აქლემი საზოგადოდ ოცდა ათ წელიწადს ცოცხლობენ, მაგრამ ხანდისხან ას წლამდის მიახწევენ ხოლმე. ცხენი ორმოც წელზე მეტს არა ცოცხლობს, ხარი კიდევ თხუთმეტს და ოც წელს. ცხვრები, თხები, მელები, კურდღლები, სცოცხლობენ შვიდიდამ ას წლამდინ. საზოგადოდ შენიშნულია, რომ რქიანი ცხოველები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, მინამ ურქოები. ის ცხოველები, რომლებსაც ხორცი შავი აქვთ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, სინამ თეთრ ხორციანები. მშვიდი და მშიშარა საქონელი უფრო ცოცხლობს, სინამ ცქვიტები და ფიცხები. ცხოველი რამდენიც უფრო მალე გაიზდება და დაიწყებს გამრავლებას, იმდენი მას სიცოცხლე უმოკლდება.

---

## განცხადება

**«სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე**

**1872 წელს**

ამ წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამმით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

**ხელისმოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:**

თფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამპ. (დუბელერის) სტამბაში, ხატისოვის სახლში, სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ ღოღობერიძესთან, სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской Сергіевской улицъ. Д. Хатисава.*

### ხელ მოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში | — 3 მან. — | — მან. 4— |

*Дозволено цензурою Тифлисъ 15 Февраля 1872 г.* გ. წერეთლის და ამხ, (დუბელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი